პროფესიული მოდულის – „მოქალაქეობა“ გზამკვლევი

ავტორები: შალვა მეკრავიშვილი
თეა ქარჩავა

სარჩევი

შესავალი ----------

ნაწილი I. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ----------

ნაწილი II. სასწავლო პროცესის წარმართვა ----------

წინამდებარე გზამკვლევში წარმოდგენილია „მოქალაქეობის“ მოდულში მოცემული თემატიკის (შინაარსობრივი საკითხების) საფუძველზე სწავლა-სწავლების პროცესის აგების სარეკომენდაციო გზა. ეს გზა ორ მიმართულებად იყოფა: ერთია ძირითადი სასწავლო ერთეულების – თემების სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად საჭირო რეკომენდაციები, მეორე კი – კურსის ფარგლებში ცალკეული სასწავლო აქტივობების განხორციელების რეკომენდაციები.

შინაარსობრივი საკითხები დაყოფილია ოთხ თემატურ ბლოკად, რომლებიც ცალ-ცალკეა განხილული. ეს თემატური ბლოკებია:

1. საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები;
2. კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები;
3. სახელმწიფო და მოქალაქე;
4. კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები.

თითოეული თემატური ბლოკი კი იყოფა თემებად, რომლებიც ძირითად სასწავლო ერთეულს წარმოადგენს და გზამკვლევში მატრიცების სახით არის განხილული. თემატურ მატრიცებში შესულია მცირე რაოდენობის საკითხები, მითითებულია ის შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები, შეფასების კრიტერიუმები და კომპლექსური შემაჯამებელი დავალებები, რომლებიც კონკრეტული თემის მთავარ ორიენტირებს ქმნიან. ვფიქრობთ, გზამკვლევის ასეთი სტრუქტურა პროფესიული სასწავლებლების „მოქალაქეობის“ პედაგოგებს დაეხმარება სასწავლო მასალის თანმიმდევრულად და ლოგიკურად ორგანიზებაში.

თითოეული თემატურ ბლოკში მუშავდება სწავლის ყველა შედეგი ცალკეული შესრულების კრიტერიუმების მეშვეობით. თემატურ ბლოკში დაჯგუფებული მასალის მიწოდების პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტი პროვოცირდება მისთვის ნაცნობი, თანამედროვეობაში მიმდინარე მოვლენებით, რასთანაც მას პირდაპირი ან ირიბი შეხება გააჩნია. შესაბამისად, საჭირო უნარზე მუშაობისთვის ხდება მოსწავლის ცხოვრებისეული, წინარე ცოდნის გამოყენება: როგორც წესი, პირველ ეტაპზე აქცენტირებულია სამოქალაქო განათლების თემატიკა, ხოლო შემდეგ შემოდის ისტორიული მასალა, რომელიც ამდიდრებს უკვე ნაცნობ საკითხებს, ცხადს ხდის თანამედროვე მოვლენების კავშირს ისტორიულ წარსულთან.

თემატური ბლოკის ან/და თემის შეჯამება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა „მოქალაქეობის“ სწავლა-სწავლების პროცესში. შემაჯამებელმა კომპლექსურმა დავალებამ უნდა გამოვლინოს, ადასტურებს თუ არა პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი სწავლის შედეგებს კონკრეტული თემის ფარგლებში. მას მთავარი მნიშვნელობა აქვს სტუდენტის შეფასებისა და მისი პორტფოლიოსათვის მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, სასურველია შემაჯამებელი მუშაობა პედაგოგმა თემის/ თემატური ბლოკის სწავლების დაწყებისთანავე დაგეგმოს, მოამზადოს შემაჯამებელი აქტივობის საკითხები, შეფასების რუბრიკები და გააცნოს ისინი სტუდენტებს. თემატური ბლოკის დამუშავება ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიმდინარეობდეს (შეიძლება ითქვას, თემატური ბლოკის სწავლა-სწავლების პარალელურად) და შემაჯამებელი აქტივობა ამ პროცესის ლოგიკურად დამასრულებელი „ბოლო აკორდი“ უნდა იყოს. თემატური ბლოკის ფარლებში ჩატარებული გაკვეთილები, დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებები, მაწავლებლის

განმავითარებელი კომენტარები ხელს უნდა უწყობდეს და ამზადებდეს სტუდენტს ფინალური აქტივობის წარმატებით განხორციელებისთვის. ამრიგად, თემის/თემატური ბლოკის შეჯამება პედაგოგისა და სტუდენტებისათვის ის მთავარი ორიენტირია, რომლისკენაც უნდა მიმართონ საკუთარი ძალისხმევა და სწავლა-სწავლების პროცესი.

იმის საჩვენებლად, თუ კონკრეტულ თემებს სწავლების რომელ წელს შევასწავლით, გთავაზობთ თემების სწავლების დროში განაწილების სარეკომენდაციო სქემას:

სწავლების პირველი წელი
თემა 1.1. საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია (25 საათი) თემა 1.2. მმართველობის სისტემები (25 საათი) თემა 2.1. რევოლუციები (20 საათი) თემა 2.2. სახელმწიფო გადატრიალება და სამოქალაქო ომი (20 სთ.)
სწავლების მეორე წელი
თემა 2.3. ლოკალური კონფლიქტები (35 საათი) თემა 2.4. გლობალური მასშტაბის კონფლიქტები (30 საათი) თემა 2.5. არაძალადობრივი წინააღმდეგობა (15 საათი)
სწავლების მესამე წელი
თემა 3.1. მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოში (20 საათი) თემა 3.2. რეფორმები სახელმწიფოში (15 საათი) თემა 4.1. კულტურული გავლენები (25 საათი)
თემა 4.2. მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები (20 საათი)

ფრჩხილებში მოცემულია სარეკომენდაციო დრო, რაც თითოეული თემის დამუშავებას უნდა დაეთმოს. ბუნებრივია, პროფესიული სასწავლებლის პედაგოგს შეუძლია დროის განაწილების შეცვლა საკუთარი შეხედულებისამებრ, სტუდენტთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.